

ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოსა და ჰოლანდიური არასამთავრობო ორგანიზაციის “ქართული დიასპორა” საერთო პროექტი, რომელიც ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით შეიქმნა, დაფინანსებულ იქნა ევრო კომისიისა და გაეროს ერთობლივი მიგრაციისა და განვითარების ინიციატივის საერთო მხარდაჭერით. პროექტი “ქართული დიასპორა ქუთაისის განვითარებისათვის” ერთ-ერთია იმ 55 პროექტაგან, რომელიც შერჩეული და დაფინანსებულია წარდგენილი 547 პროექტიდან. პროექტის მთავარი მიზანია:

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოო ინიციატივების ხელშეწყობა
- ✓ ქართველი დამსაქმებლებისა და დასასაქმებლების განათლების დონის გაუმჯობესება

პროექტის მიზნების მისაღწევად დაგეგმილია:

- ✓ მენეჯერთა და დამსაქმებელთა საგანმანათლებლო პროგრამები
- ✓ ქართული-ჰოლანდიური თანამშრომლობისა და პარტნიორობის შესახებ საზოგადოებრივი ცნობადობის ამაღლება
- ✓ ქართულ-ჰოლანდიურ დიასპორას შორის გაცვლითი პროგრამების წარმოება
- ✓ ქალაქ ქუთაისში მცირე და საშუალო საწარმოო ინიციატივების ხელშეწყობა

პროექტის ხანგრძლივობაა 18 თვე, ხოლო ბიუჯეტი შეადგენს 200 000 ევროს. ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტო საქართველოს და მის პარტნიორს ვუსურვებთ აღნიშნული პროექტის წარმატებით განხორციელებას.